მესაზღვრეთა მომზადების სპეციალურ პროგრამაზე ჩარიცხვის წესი

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების პროფესიულ საგანმანათლებლო სპეციალურ პროგრამაზე მსმენელად ჩასარიცხმა კანდიდატმა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის **(www.police.ge**) მეშვეობით ელექტრონულად შეიძლება შეავსოს აღნიშნულ ვებგვერდზე განთავსებული განცხადება (აპლიკაცია) ან წერილობითი ფორმით შევსებული განცხადება (აპლიკაცია) წარადგინოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში, მათ შორის, სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საზღვრის დაცვის სამმართველოებში), რომელშიც სურს მუშაობის დაწყება.

განცხადებას (აპლიკაციას) უნდა დაერთოს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ფოტოსურათი (ზომით 3X4).

- შესაბამისი საკადრო დანაყოფი უზრუნველყოფს კანდიდატთა განცხადებების მიღებას, საჭიროების შემთხვევაში მათთან გასაუბრებას.

- თუ კანდიდატი და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამისი დანაყოფი უზრუნველყოფს აღნიშნული კანდიდატის შესახებ მონაცემების აკადემიისთვის მიწოდებას.

- კანდიდატის მიერ წარდგენილი განცხადების (აპლიკაციის) განხილვა წყდება იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდება მათი სიყალბე ან მნიშვნელოვანი უზუსტობა. ან თუ კანდიდატი ვერ გაივლის ამ მუხლით გათვალისწინებულ გასაუბრებას.

- კანდიდატების სიების შესაბამისად აკადემია უზრუნველყოფს კანდიდატთა შესარჩევი ტესტირების ან/და გასაუბრების ორგანიზებას.

- აკადემია ვალდებულია ტესტირების ან/და გასაუბრების ჩატარებამდე არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა აკადემიის ვებგვერდზე **(www.policeacademy.ge)** განათავსოს ინფორმაცია – ტესტირების ან/და გასაუბრების ჩატარების თარიღის შესახებ.

- ტესტირებას ან/და გასაუბრებას ატარებს კომისია.

- ტესტირება ტარდება წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. როგორც წესი, ტესტირება ტარდება ზოგად უნარებში ან/და იმ თემატიკით, რომელიც დაკავშირებული იქნება კანდიდატის მომავალი პროფესიული საქმიანობის სპეციფიკასთან.

- ტესტირებაში დადებითი შეფასების მიღების შემდეგ კანდიდატი გადის გასაუბრებაზე.

- გასაუბრების დროს ხდება კანდიდატის ცოდნის, პროფესიული უნარების, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

- ტესტირების და გასაუბრების შედეგების შესახებ ინფორმაცია განთავსდება აკადემიის ვებგვერდზე.

- კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ტესტირებას ან/და გასაუბრებას და მიიღებენ დადებით შეფასებას, ვალდებულნი არიან შესაბამის დანაყოფში (სადაც წარადგინეს განცხადება/აპლიკაცია) სრულად წარადგინონ სამინისტროში კანდიდატების მიღებისთვის აუცილებელი დოკუმენტები.

- კანდიდატებს აკადემიაში ჩარიცხვამდე უტარდებათ ჯანმრთელობის მდგომარეობის და ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება. წარმატებით დასრულების შემდეგ, შესაბამისი დანაყოფი უგზავნის სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოს აღნიშნული კანდიდატების სიას, სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს წარდგინებით და აკადემიის რექტორის ბრძანებით, ჩაირიცხებიან აკადემიაში მსმენელებად.

- აკადემიაში მსმენელად ჩარიცხული პირები გაივლიან შესაბამის სპეციალურ პროგრამას.

- თუ აღნიშნული პირი წარმატებით ვერ გაივლის კანდიდატთა შესარჩევ ტესტირებას, აკადემიაში გასაუბრებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას, ფიზიკური მომზადების დონის შემოწმებას ან აკადემიაში სწავლებას. ამ შემთხვევაში, აღნიშნული პირის სპეციალურ პროგრამაზე განმეორებით ჩარიცხვის საკითხის დაყენება შესაძლებელია უარყოფითი შედეგების დადგომიდან არანაკლებ 6 თვის გასვლის შემდეგ.

- კანდიდატის სპეციალურ პროგრამაზე ჩარიცხვის საკითხის დაყენება მესამედ და ყოველ მომდევნო შემთხვევაში შესაძლებელია 1 წლის შემდეგ.